

ნატოს როლი საქართველოში და მოსახლეობის დამოკიდებულებები საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ

ნაშრომი მომზადებული სტუდენტური კონფერენციის - „საქართველო და ნატო -
გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები“ - ფარგლებში



სტუდენტი: ილია ფაჩულია

მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათ სკოლა
თავისუფალი უნივერსიტეტი
თბილისი, 2020

სარჩევი

აბსტრაქტი	3
1. შესავალი.....	4
2. ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორია.....	5
3. ნატოს როლი საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნებაში.....	7
4. მოსახლეობის დამოკიდებულებები საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ...9	
5. დასკვნა.....	11
ბიბლიოგრაფია	12

აბსტრაქტი

ილია ფაჩულია, მართვისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სკოლა, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი.

მოხსენების მიზანია კიდევ ერთხელ ხაზი გაესვას ნატოს მნიშვნელობას საქართველოსა და მსოფლიო უსაფრთხოების საკითხში, ასევე საქართველოს მოქალაქეთა განწყობას ნატოში ინტეგრაციის საკითხთან დაკავშირებით. საკითხი საინტერესოა, რადგანაც ნატო მთავარი გარანტია ბევრი ქვეყნისთვის უსაფრთხოების მხრივ. ჩვენი მხრიდან კი განწყობების კვლევა რელევანტურია, რადგანაც ნატოში შესვლის გზაზე ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია მოსახლეობის განწყობა. მოძრაობა არ შეიძლება იყოს მრავალმხრივი. მოძრაობას მხოლოდ ერთი მიმართულება გააჩნია. ეს მიმართულება კი უნდა იყოს ერთსულოვანი გადაწყვეტილების შედეგი და, შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეთა განწყობების კვლევა რელევანტურია.

საკითხთან დაკავშირებით არსებობს კვლევები, რომელთა შედეგის გაანალიზება და წარმოდგენა არის ჩემი მოხსენების მიზანი. ანალიზის ნაწილში სირთულეები მოსალოდნელია, რადგან ის მოითხოვს შიდა პოლიტიკური პროცესების ცოდნას და ამ მრავალმხრივი პროცესების ფონზე ფორმირებული განწყობების სწორად აღქმას. ხარვეზმა შეიძლება თავი იჩინოს ერთ კვლევაზე დაყრდნობით გაკეთებულ მოხსენებაში, შესაბამისად, მოხსენებისთვის გამოყენებული იქნება რამდენიმე კვლევის შედეგები.

დასკვნის სახით შეჯამდება ანალიზის შედეგი და ხაზი გაესმევა ნატოს მნიშვნელობას საქართველოსთვის და რეგიონისთვის, რეგიონში მიმდინარე პროცესების პარალელურად.

საკვანძო სიტყვები: ნატო, საქართველოს მოსახლეობის განწყობა, ნატოში ინტეგრაცია, ნატოს მნიშვნელობა.

შესავალი

საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მთავარ პრიორიტეტს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება წარმოადგენს. ჩვენი ქვეყანა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ქვეყნის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცების საკითხში. ასევე აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა დროს საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები, რომლებიც სრულ თანხვედრაშია ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებულ ძირითად მოთხოვნებთან და ალიანსის რეკომენდაციებთან, მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების შემდგომ განვითარებას. თავის მხრივ, საქართველო, როგორც ალიანსის წევრობის მსურველი, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროატლანტიკური უსაფრთხოების საქმეში.

საქართველოს გაცხადებული მიზანია ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება, რისი მომხრეცაა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. ნატოში გაწევრიანების მსურველთა რაოდენობა იზრდება რესპოდენტთა ასაკის შემცირების პარალელურად.

ნატო რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ერთადერთ იმედიან გამოსავლად ესახება საქართველოს მოქალაქეებს. საქართველოს ნატოს გვერდით ყოფნის საპასუხოდ თვითონაც იღებს მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში მსოფლიოს მასშტაბით. ნატოს თავის მხრივ თამიმდევრულია საკუთარ ნაბიჯებში და ხშირად უსვამს ხაზს საქართველოსადმი მხარდაჭერას.

ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორია

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო დიდი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა - კონფლიქტები, ეკონომიკური სტაგნაცია, კორუფცია და სახელმწიფო ინსტიტუტების არარსებობა იმ პრობლემათა მცირე ჩამონათვალია, რაც 1990-იანი წლების საქართველოსთვის იყო დამახასიათებელი, თუმცა მთავარ პრობლემად მაინც სუვერენიტეტის შენარჩუნება რჩებოდა. ამის გარანტია კი იმ დროინდელი საქართველოსთვის საკუთარი თავდაცვის ძალები არ იყო.

საქართველოს, როგორც სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს ორი არჩევანი ჰქონდათ - დარჩენილიყვნენ მოსკოვის ორბიტაზე ან დაეწყოთ სვლა ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მიმართულებით. საქართველომ ბალტიის პირეთის ქვეყნების და ჩეხეთის გვერდით დასავლური მიმართულება ამჯობინა ჩრდილოურს, თუმცა საქართველოს დასავლური განვითარება, შედეგად საქართველოს ინტეგრაციის პროცესი ისე სწრაფად ვერ წარიმართა, როგორც ბალტიის ქვეყნების შემთხვევაში.

1992 წელს საფუძველი ჩაეყარა საქართველო-ნატოს ურთიერთობას - საქართველო გაწევრიანდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოში (NACC – North Atlantic Cooperation Council). შემდეგში საბჭომ სახელი შეიცვალა და გახდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC – Euro-Atlantic Partnership Council). 1994 წელს თანამშრომლობა გაფართოვდება, ორგანიზაციის პრეზიდენტთან - თანამშრომლობა მშვიდობისთვის (PfP – Partnership for Peace) - შეერთებით. პროგრამის მიზანი იყო ნატოს თანამშრომლობის გაღრმავება პარტნიორ ქვეყნებთან უსაფრთხოებისა და თავდაცვის საკითხებში.

საქართველოს მეორე პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ 2002 წელს პრატის სამიტზე ხმამაღლა გააჟღერა საქართველოს სურვილი ნატოში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ორ წელში კი საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP – Individual Partnership Action Plan). გეგმა გულისხმობდა დროში გაწერილ სამოქმედო ნაბიჯებს, რაც სისრულეში მოიყვანდა ნატოს წინაშე აღებულ კონკრეტულ ვალდებულებებს.

2004-2008 წლებში საქართველომ მიიღო 5 შეფასება. აქედან 4 ოფიციალური სახის იყო, ხოლო 1 არაოფიციალური. ყველა მათგანი დადებითი იყო. 2006 წელს კი საქართველოსა და ალიანსს შორის დაიწყო გაწევრიანების საკითხებზე ინტენსიური დიალოგის რეჟიმი (ID – Intensified Dialogue on Membership Issues). დიალოგი ითვალისწინებდა ნატოში გაწევრიანების სტანდარტების უკეთ გაცნობას. 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ნატოს ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილება შეიძლება შეფასდეს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად ნატო-საქართველოს ურთიერთობებში.

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ნატომ გამოთქვა სურვილი საქართველოს დახმარებოდა რეაბილიტაციაში - შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია (NGC – NATO-Georgia Commission). კომისია ზედამხედველობას უწევს გადაწყვეტილების შესრულებისა და დახმარების პროცესს. ამავე წლის 15-17 სექტემბრის ვიზიტის შედეგად ხელი მოეწერა ჩარჩო დოკუმენტს, დეკემბერში კი ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა მხარი დაუჭირეს წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) შემუშავებას ნატო-საქართველოს კომისიის ფარგლებში.

2011 წლის 7 დეკემბერს ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართა ალიანსის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრიალი, რომლის შედეგად საქართველო დასახელებულ იქნა კანდიდატ ქვეყნად მონტენეგროს, ბოსნია-ჰერცეგოვინას და მაკედონიასთან ერთად. 2012 წელს ჩიგაკოს სამიტზე საქართველოს მონაწილეობა ყველა შეხვედრაში (გარდა უშუალოდ ნატოს წევრი სახლმწიფოების შეხვედრისა) ნათელი ნიშანია საქართველო როლის შესახებ. ამ სამიტის შემდეგ ნატო-საქართველოს ურთიერთობა სხვა ეტაპზე გადავიდა, საქართველო უკვე მოიხსენიება ბალკანეთის ქვეყნების გვერდით, ეს ქვეყნები კი აშკარა პერსპექტივებით გამოირჩევიან. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ საქართველოში შედგა ჩრდილოატლანტიკური საბჭოს სამი ვიზიტი - 2008, 2011 და 2013 წლებში, რაც ნათელი ნიშანია ურყევი პოლიტიკური მხარდაჭერისა. 2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე საქართველომ მიიღო ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (Substantial NATO-Georgia Package/SNGP), რაც უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს წარმოადგენს.

პაკეტის მიზანია საქართველოს განვითარება თავდაცვის კუთხით და ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილება წვრთნისა და სწავლების მეშვეობით. ეს ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც საქართველოს ეხმარება ნატოს წევრობისთვის მომზადებაში. დასაფასებელია, რომ პაკეტის მეშვეობით ჩატარდა და ტარდება ღონისძიებები რამდენიმე მიმართულებით, მათ შორის: სტრატეგიული და ოპერატიული დაგეგმვის, საჰაერო თავდაცვისა და საზღვაო უსაფრთხოების, სტრატეგიული კომუნიკაციებისა და სპეციალური ოპერაციების, კიბერთავდაცვისა და დაზვერვის მიმართულებით.

უელსში ნატომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ საქართველო აუცილებლად გახდება ნატოს წევრი ქვეყანა, ამ განცხადებით კი კიდევ ერთხელ გაესვა ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილებას ხაზი. ხაზი უნდა გაესვას ასევე 2015 წლის 25 აგვისტოს საქართველოს ტერიტორიაზე ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნის ცენტრის გახსნას, რაც წარმოადგენს ასევე საქართველოსადმი ურყევი მხარდაჭერის სიმბოლურ დადასტურებას. ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდას და ნატოს სტანდარტების დაკმაყოფილებას.

აღსანიშნავია რამდენიმე თარიღიც ნატო-საქართველოს ურთიერთობებში. 2016 წლის 8-9 ივლისს, პოლონეთის დედაქალაქ ქ. ვარშავაში, ნატოს სამიტი გაიმართა, რის პარალელურადაც მიმდინარეობდა ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა. სხდომაზე საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი პოლიტიკური მხარდაჭერა, რისი ერთ-ერთი ნიშანია სხდომის სამიტის პარალელურად გამართვის უპრეცედენტობა ამ თარიღამდე.

სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოში ვიზიტის შესახებ. 2016 წლის 7-8 სექტემბერს საქართველომ უმასპინძლა ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის ხელმძღვანელობით ჩამოსულ ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს. სიმბოლურია ისიც, რომ ეს იყო პირველი საერთაშორისო ვიზიტი ვარშავის სამიტის შემდგომ.

ამავე წლის 10-20 ნოემბერს წვრთნისა და შეფასებების ერთობლივმა ცენტრმა (JTEC) პირველად უმასპინძლა სიმულაციურ სწავლებას, რომელიც თავისი დონით გამორჩეული იყო. 2017 წლის 1-3 მარტს, კი საქართველოს უკვე ხელმეორედ ეწვია ნატოს უმაღლესი სამხედრო ორგანო - ნატოს სამხედრო კომიტეტი. მსგავსი ვიზიტი მკაფიო გზავნილს წარმოადგენს ნატოს მხრიდან. 2017 წლის 26-29 მაისს კი საქართველოს პირველად ეწვია ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, ეს კი მეოთხე ვიზიტია არაწევრ ქვეყანაში. საგაზაფხულო სესია თბილისში გაიმართა. სესიის ბოლოს მიიღეს საქართველო ევროატლანტიკური ინტეგრაციის მხარდამჭერი დეკლარაცია.

ნატოს როლი საერთაშორისო უსაფრთხოების შენარჩუნებაში

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საბჭოთა კავშირი გადაიქცა მსოფლიოს დომინანტ ძალად, რასაც დაემატა ევროპიდან ამერიკის ჯარების გაყვანაც. საბჭოთა კავშირი აქტიურად მუშაობდა ევროპის სოციალიზაციისთვის. ის ცდილობდა ევროპაში ჩაენერგა პროკომუნისტური ძალები. რუმინეთი, ბულგარეთი, ალბანეთი და იუგოსლავია კომუნისტური ქვეყნები გახდნენ. საბერძნეთის სამაქოლაქო ომშიც კი საბჭოთა კავშირის დახმარებით პარტიზანული მოძრაობა ნელ-ნელა ძლიერდებოდა.

ყველა ეს ნაბიჯი დასავლეთ ევროპის ქვეყნების მხრიდან აღქმული იყო, როგორც სტაბილურობისა და მშვიდობის წინააღმდეგ გადადგმული თანმიმდევრული ნაბიჯები. 1946 წლის 5 მარტს, უინსტონ ჩერჩილმა პირველად გააჟღერა შემფოთების შესახებ, მისურის შტატში, ფულტონის ვესტმინსტერის კოლეჯში ლექციის წაკითხვისას: „*არავინ იცის, თუ რის გაკეთებას აპირებს საბჭოთა რუსეთი და მისი საერთაშორისო კომუნისტური ორგანიზაცია უახლოეს მომავალში, ან როგორია მათი ექსპანსიონისტური მისწრაფებების საზღვრები, თუკი ისინი არსებობენ...*“¹

საბჭოთა კავშირის სერიოზული გაძლიერების ფონზე დასავლეთ ევროპის ქვეყნები და ამერიკა აუცილებლობას ხედავდნენ თავდაცვის საერთო სისტემის განვითარების და კავშირის განმტკიცების მიმართულებით.

¹ Churchill Winston, The Sinews of Peace ('Iron Curtain Speech'), Westminster College, Fulton, Missouri March 5, 1946, <https://winstonchurchill.org/the-life-of-churchill/life/why-study-winston-churchill/>

შეერთებულმა შტატებმა 1948 წელს შეიმუშავა ომის მიერ განადგურებული ევროპის აღდგენის გერალური პროგრამა - „მარშალის გეგმა“. გეგმა ითვალისწინებდა ოთხწლიანი ეკონომიკური დახმარების თანმიმდევრულ პროგრამას. მარშალის გეგმამ მკაფიოდ გამიჯნა დასავლეთ ევროპა აღმოსავლეთ ევროპისაგან და სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შექმნისკენ ქმედითი ნაბიჯები გადააგა. ჩამოყალიბდა დაპირისპირებული მხარეების აშკარა საზღვრები, რაც სამხედრო ბლოკების ჩამოყალიბების პროცესის დასაწყისი იყო.

პროცესის კულმინაცია გახდა 1949 წლის 4 აპრილს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შექმნა. ნათელია მიზანი, რომ ნატო შეიქმნა ძალთა ბალანსის შესანარჩუნებლად და მსოფლიო მშვიდობის დამყარებისათვის.

ნატო მიზანს XXI საუკუნეშიც არ კარგავს. 2019 წელს აღინიშნა ნატოს 70 წლის იუბილე. ის მსოფლიო მასშტაბით აქტიური და წამყვანი მონაწილეა მშვიდობისა და უსაფრთხოების მშენებლობის პროცესში. აღსანიშნავია, ევროატლანტიკური ალიანსის და საქართველოს ურთიერთობები მსოფლიო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში. საქართველო იდგა და კვლავაც დგას ევროატლანტიკური ორგანიზაციის გვერდით მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში. საქართველომ მზაობა შეუერთდეს ჩრდილოატლანტიკურ ორგანიზაციას გამოიხატა არაერთ რეფორმაში:

- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნა
- ქვეყნის თავდაცვის ბიუჯეტის ეტაპობრივი ზრდა
- საინფორმაციო ცენტრის დაარსება „საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ“ - რომელიც ზრუნავს მოქალაქეებში ინფორმირებულობისა და ცნობიერების დონის ამაღლებაზე.

ნატო-საქართველოს ურთიერთობების სიმტკიცეზე მიუთითებს საქართველოში რუსეთის 2008 წლის აგვისტოში შემოჭრის შემდგომ ნატოს გადადგმული ნაბიჯებიც. ნატომ შეაჩერა რუსეთთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის უდიდესი ნაწილი და მოუწოდა მოსკოვს საქართველოდან ჯარების გაყვანის თაობაზე. რუსეთ-ნატოს საბჭოს თანამშრომლობა შეჩერდა, მანამ სანამ რუსეთის სამხედრო ძალები არ დატოვებენ საქართველოს ტერიტორიებს.

მნიშვნელოვანია თუ რა პრაქტიკული შედეგები დადგა ნატო-საქართველოს თანამშრომლობის შედეგად. ერთ-ერთი მთავარი შედეგია თანამედროვე სტანდარტებზე მორგებული ქართული ჯარის მშენებლობის დაწყება. საქართველო თავის მხრივ აქტიურად უჭერს მხარს ნატოს მოქმედებებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში. ამ მიმართულებით ურთიერთობა იწყება პროგრამა „პარტნიორობა

მშოვიდობისთვის“ ამოქმედების შემდეგ, პროგრამა ხაზს უსვამს იმას, რომ საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემის მშენებლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს. ამის პრაქტიკულ განხორციელებას წარმოადგენს საქართველოს მონაწილეობა ნატოს საბრძოლო ოპერაციებში ავღანეთის თალიბანის რეჟიმის წინააღმდეგ, რაც მოჰყვა 11 სექტემბრის ტერაქტს. საქართველო პოლონეთთან, ბულგარეთთან, რუმინეთთან და სხვა ქვეყნებთან ერთად შეუერთდა ანტიერაყულ კოალიციას აშშ-სა და ინგლისის მეთაურობით. ოპერაციის ფარგლებში, კოალიციური ძალების შტაბები განთავსდა ერაყის მახლობლად: ქუვეითში, ბაჰრეინსა და კატარში. პარალელურად მიმდინარეობდა სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვება და კოალიციური ძალების სპარსეთის ყურეში გადასროლა. საქართველო-ნატოს მეგობრობა გამოიხატა იმაშიც, რომ საქართველომ 2003 წლის აგვისტოში ერაყში სამშვიდობო მისიით 49 ქართველი სამხედრო და ექიმებისა და პროფესიონალი გამწვანებულების ჯგუფი გაგზავნა. მათი როტაცია ექვს-შვიდ თვეში ხდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი რაოდენობა ბევრად გაიზარდა და დღეისთვის რამდენიმე ასეულს შეადგენს. მათი ნაწილი დისლოცირებულია ბაქუბაში, მათ მოვალეობას წარმოადგენს სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების დაცვა, საკონტროლო გამშვები პუნქტების კონტროლი და პატრულირება. ნაწილი კი ბაღდათში გაეროს წარმომადგენელთა შენობას იცავს. მოსალოდნელია სამხედროთა რაოდენობის ზრდა. ერაყის სამშვიდობო ოპერაცია, უშუალოდ ნატოს ფარგლებში არ მიმდინარეობს, თუმცა მასში მონაწილეობენ ნატო-ს წევრი ქვეყნები - აშშ, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი და სხვანი. ქართველი სამხედროებისა და ნატოს ძალების ერთობლივი მოქმედება ბუნებრივია აამაღლებს ქართველი ჯარისკაცების მომზადების დონეს ნატოს სტანდარტების დონემდე.

ხაზგასასმელია ქართველი ჯარისკაცების თავდადება. მე-11 ბატალიონმა დაიძახურა სპეციალური მედლები, რომლებსაც მხოლოდ ამერიკელ ჯარისკაცებს ანიჭებენ ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მხედრული მამაცობისთვის.

მოსახლეობის დამოკიდებულებები საქართველოს ნატოში ინტეგრაციის მიმართ

საქართველოს მოქალაქეთა ნატოს მიმართ განწყობების აღწერისთვის შეგვიძლია მივართოთ NDI-ს 2020 წლის ივნისის გამოკითხვის ანგარიშს. კითხვაზე: „მისაღებია თუ არა საქართველოს მთავრობის გაცხადებული მიზანი საქართველო გახდეს ნატო-ს წევრი?“ 69% რესპოდენტებისა აცხადებს, რომ მისაღებია. მხოლოდ 11% კი ამბობს, რომ მიუღებელია.

მოსახლეობის 59% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციით (ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებით). 11% კი ფიქრობს, რომ „საქართველო მეტ სარგებელს მიიღებს, თუ

რუსეთთან უკეთესი ურთიერთობის ჩამოყალიბების სანაცვლოდ უარს იტყვის ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე“.

მოქალაქეთა განწყობის კვლევის შედეგების შეფასებისას, აუცილებელია დავაკვირდეთ შეხედულებათა ასაკობრივ გადანაწილებას. ასაკის შემცირებასთან ერთად იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოს მეტ სარგებელს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია მოუტანს. მხოლოდ 7%-ს წარმოადგენს იმ 18-დან 34 წლამდე ახალგაზრდათა რიცხვი, ვინც თვლის, რომ საქართველოს მეტ სარგებელს რუსეთის სასარგებლოდ ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციაზე უარის თქმა მოუტანს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდა ადამიანებში უფრო დიდია ნდობა ჩრდილოატლანტიკური ალიანსისადმი, ვიდრე ჩრდილოელი მეზობლისადმი.

უკანასკნელი მოვლენები სამხრეთ კავკასიაში ნათელს ხდის ნატოს საჭიროებას საქართველოსა და რეგიონისთვისაც. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის განვითარებული მოვლენები, რუსეთის გაძლიერება კავკასიაში და თურქეთის შემოსვლა რეგიონში ცვლის ძალთა ბალანსს. ამ დროს საქართველოს უჩნდება შანსი თურქეთის როლი შეითავსოს (თურქეთისა და აშშ-ს ურთიერთობის დამაბვის ფონზე) და დაეხმაროს ნატოს და აშშ-ს რეგიონში მშვიდობის დამყარებისთვის. 2020 წლის ნოემბერში, საქართველოს საექსპორტო საზოგადოებამ აშშ-ს სახელმწიფო მდივანს, მაიკ პომპეოს ჯარის მუდმივი განთავსების თხოვნით მიმართა. „საქართველოს ხალხის თავისუფლებისთვის ბრძოლაში უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი იქნებოდა აშშ-ს ჯარის მუდმივი განთავსება საქართველოში“² - აცხადებენ მაიკლ პომპეოსადმი ღია წერილის ხელის მომწერები. ხელმომწერებს წარმოადგენდნენ უსაფრთხოებასა და საგარეო პოლიტიკაზე მომუშავე 40-ზე მეტი ქართველი ექსპერტი, ყოფილი დიპლომატი და მაღალჩინოსანი.

საქართველო და ქართველები ძლიერ ვაფასებთ ამერიკისა და ნატო-ს მუდმივ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისადმი. ნატოში გაწევრიანება ან აშშ-ს ჯარების განთავსება საქართველოში უზრუნველყოფს მრავალგვარ შესაძლებლობას აშშ-სა და ნატოსთვის მრავალგვარი შესაძლებლობების გადაშლას. ნატო-ს სამხედრო ძალების განთავსებას საქართველოში ექნებოდა პრევენციული ხასიათი მყისიერი საფრთხეებისადმი და დაეხმარებოდა საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის. ასევე, ის გეოპოლოტიკური არასტაბილურობა, რაც სამხრეთ კავკასიაში და შავი ზღვის რეგიონში შეინიშნება ბოლო წლებში საშიშროებას წარმოადგენს საქართველოსთვისაც, როგორც ნატო-ს მეგობარი ქვეყნისთვის. აღსანიშნავია, რომ საშიშროებათა აბსოლუტური უმრავლესობა მომდინარეობს რუსეთის მხრიდან, რომელიც ცდილობს აღიდგინოს გავლენის სფეროები, მის მიერ „ახლო საზღვარგარეთად“ აღქმულ არეალში.

² <https://www.neweurope.eu/article/open-letter-to-u-s-secretary-of-state-mike-pompeo/>

დასკვნა

ნატოს შექმნა იყო მრავალმხრივ ისტორიული მოვლენა. ნატო აღმოჩნდა ფასდაუდებელი პოლიტიკური ინსტრუმენტი ევროპისა და ამერიკისათვის მსოფლიო მშვიდობის დამყარების საკითხში. ნატო რჩება აქტიურ და მზარდ ორგანიზაციად, რომელიც მხოლოდ ფართოვდება და ჯერ არ შეუმცირებია მასშტაბები.

საქართველო იმედოვნებს, რომ გახდება ამ დიდი ოჯახის წევრი და ნატო-ს ძალებთან ერთად გააგრძელებს მსოფლიო მშვიდობის დაცვა უფრო დიდი მასშტაბებით. ისტორია აჩვენებს ნატოს მნიშვნელობას სხვადასხვა რეგიონისათვის. მისი როლი შეუფასებელია საქართველოსთვისაც და საქართველოს მიღება ნატო-ში იქნება რეგიონისთვის გარდამტეხი.

რუსეთის, ჩვენი მტრის და ოკუპანტის, მთავარი შემკავებელი ძალა მხოლოდ და მხოლოდ ევროატლანტიკური სამხედრო ერთობაა. შესაბამისად, ჩვენც აგრესორის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლაში ნატო გვესახება ერთადერთ პროპორციულ ძალად, რომელსაც რუსეთი ანგარიშს გაუწევს.

ბოლოს კი მინდა მადლობა გადავუხადო ნატო-ს, როგორც ორგანიზაციას და მის თითოეულ წარმომადგენელს, რომელიც მუდმივ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს. მადლობა ასევე იმ თითოეულ ადამიანს, ვისაც წვლილი შეჰქონდა ან შეაქვს საქართველო-ნატოს ურთიერთობების გაღრმავებაში და საქართველოს ბრძოლისუნარიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერების საკითხში. ვიმედოვნებ ნატო-საქართველოს ურთიერთობები გაღრმავდება.

ბიბლიოგრაფია:

References

NDI. 2020. „საზოგადოების განწყობა საქართველოში; 2020 წლის ივნისის გამოკითხვის შედეგები.“ თბილისი.

ვდოვიჩენკო, ელენე. 2019. *ნატოს როლი კონფლიქტების დარეგულირებაში და პრევენციაში. უსაფრთხოების ძირითადი ასპექტები*. თბილისი: კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი .

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისა და ნატო-ს მხარდამჭერ სტუდენტთა ჯგუფის მიერ მომზადებული ყოველკვარტარული დაიჯესტი. თ. გ. „ნატო და უსაფრთხოება.“ თბილისი.

საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ. 2015. „ნატო და საქართველო.“ თბილისი.